# მომზადებულია კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის

*ტელერადიომაუწყებლობების პრიორიტეტების კვლევა*

*თვისობრივი კვლევის ანგარიში*

ივნისი, 2013

# სარჩევი

ტექნიკური ინფორმაცია ..... 3

კვლევის მიზნები ..... 3

კვლევის მეთოდი ..... 3

რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმები ..... 3

ძირითადი მიგნებები ..... 4

ტელევიზორის ყურების ჩვეულებები და სატელევიზიო თემატიკისადმი დამოკიდებულება . 6

გადაცემების თემატიკის შესახებ ..... 7

ზოგადი და სპეციალიზირებული არხების შესახებ ..... 9

რადიო მოსმენის ჩვეულებები და მნიშვნელობა ..... 10

# ტექნიკური ინფორმაცია

## კვლევის მიზნები

1. სატელეკომუნიკაციო არხების მოხმარების ჩვეულებებისა და სამომხმარებლო ღირებულების კვლევა

## კვლევის მეთოდი

1. ფოკუს ჯგუფური ინტერვიუ

## რესპონდენტთა შერჩევის კრიტერიუმები

| N | ასაკი | ქალაქი |
|---|---|---|
| **1** | 35-55 | თბილისი |
| **2** | 55+ | თბილისი |

## ძირითადი მიგნებები

რესპონდენტების საუბრიდან ირკვევა, რომ მათ ცხოვრებაში ძალზედ დიდია ტელევიზორის მნიშვნელობა. ამ ფაქტს საფუძვლად უდევს რესპონდენტთა რეალური ცხოვრებისეული შინაარსი და საჭიროებები.

რესპონდენტების ყოფითი ცხოვრება ნაკლებად დატვირთული და საინტერესოა. დროის უმეტეს ნაწილს ისინი სამსახურში ან სახლში ატარებენ და  მოკლებული არიან რეალურ ცხოვრებისეულ განცდებსა და ემოციებს.  მათ აქვთ მოთხოვნილება, რომ დროს  ფეხი აუწყონ და იყვნენ თანამედროვენი, „არ ჩამორჩნენ დროს“ და რაც მთავარია, მოახდინონ საკუთარი იმპულსების რეალიზაცია. ამ პირობებში, ტელევიზორი იწვევს შთაბეჭდილებებს, ქმნის ვიზუალურ ხატებს, ტელევიზორი წარმოადგენს სამყაროს, აპროვოცირებს ემოციებს და ა.შ. ტელევიზორი გარდაქმნილია მითიურ კონსტრუქციად, რომელიც  რესპონდენტებს ფსიქიკური მდგრადობისათვის აუცილებელ გარემოს უქმნის არაცნობიერი იმპულსების არაპირდაპირი გზით რეალიზების საშუალებას. რესპონდენტები ტელევიზორზე აპროეცირებენ მთლიან პიროვნულ წარმოდგენებს, ფსიქიკის რეპრესირებულ კომპონენტებსა და სურვილებს. ტელევიზორი ავსებს რესპონდენტების ცხოვრებას.

რეალურ ცხოვრებაში, რესპონდენტები არასაკმარისად თავდაჯერებულები არიან და შფოთავენ ამის გამო. მათ ეშინიათ, რომ სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში არ გამომჟღავნდეს მათი არაკომპეტენტურობა თუ არაინფორმირებულობა. ტელევიზორი ხელს უწყობს შფოთვის შემცირებას და თავდაჯერებულობის ერთ ერთ წყაროს წარმოადგენს, რადგან ის საშუალებას აძლევს რესპონდენტებს მოიკლან საინფორმაციო წყურვილი - ის (ტელევიზორი) აწვდის მათ ინფორმაციას მიმდინარე მოვლენებისა და ტენდენციების შესახებ. ტელევიზორის ყურების შემდეგ, რესპონდენტები უფრო მშვიდად გრძობენ თავს და შეუძლიათ თავისუფლად/თავდაჯერებულად ააწყონ ლაპარაკი მეგობრებთან, რადგან მათ აქვთ განცდა, რომ საკმარისი ინფორმაცია აქვთ მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

ასევე, ტელევიზორი ქმნის სალაპარაკო თემებს, საკითხებს, წამოჭრის პრობლემებს და სთავაზობს რესპონდენტებს ინსტრუმენტებს/მასალას სოციალური ურთიერთქმედების

საწარმოებლად. საერთო სალაპარაკო თემების მიწოდება ხელს უწყობს სოციალური კავშირების სიმტკიცეს. იქიდან გამომდინარე, რომ უყურებენ ტელევიზორს, რესპონდენტთა სოციალურ ჯგუფებს აქვთ მსგავსი ინფორმაცია, აფიქრებთ მსგავსი თემები, რაც მათ ურთიერთობისათვის აუცილებელი შეხების წერტილს უქმნის. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ტელევიზორი ჯგუფის ინტეგრაციის ფუნქციასაც ასრულებს სოციალური ურთიერთობის შინაარსის უზრუნველყოფის გზით.

ტელევიზორის მიმზიდველობას განაპირობებს ისიც რესპონდენტებს გასიმბოლოებული ფორმით უნაცვლებს რეალურ ცხოვრებისეულ ობიექტებსა და შინაარსებს. კერძოდ, ტელევიზორი უზრუნველყოფს სასურველი თუ საძულველი ობიექტების ვირტუალურ მისავწდომობას და რესპონდენტებს აძლევს საშუალებას, მათზე მოახდინონ  საკუთარი არარეალიზებული იმპულსების ტრანსფერი.

ტელევიზორი ხელს უწყობს ემოციების ცირკულაციასა და განმუხტვას, რაც ხელს უწყობს ფსიქიკური მდგრადობის შენარჩუნებას და ცალკეულ შემთხვევაში სიამოვნებასაც კი ანიჭებს რესპონდენტებს.

## ტელევიზორის ყურების ჩვეულებები და სატელევიზიო თემატიკისადმი დამოკიდებულება

*„ტელევიზორი სულ ჩართულია. თუ არ არის ჩართული თითქოს რაღაც მაკლია“.*

*„სამზარეულოში როცა ვაკეთებ საჭმელს ტელევიზორი მაშინაც ჩართულია“.*

*„შეიძლება მუდმივად არ ვუსმენდე, მაგრამ სულ ჩართულია“.*

*„ტელევიზორი სულ ჩართულია, მივსებს ცხოვრებას. სამყაროსთან ვინარჩუნებ კავშირს“.*

ტელევიზორი რესპონდენტების ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

დაუსაქმებელი რესპონდენტების სახლებში ის სულ ჩართულია. მათ ბინებში ტელევიზორის ყურება არ არის დაკავშირებული დღის რომელიმე მონაკვეთთან, ის მუდმივად ავსებს სივრცეს.

დასაქმებული რესპონდენტები საღამოს სახლში მისვლის შემდგომ რთავენ ტელევიზორს და პრაქტიკულად მთელ საღამოს მასთან ატარებენ.

ორივე ფოკუს ჯგუფის მონაწილე რესპონდენტებისათვის საინტერესო თემატიკის სპექტრი დაახლოებით მსგავსია.

## გადაცემების თემატიკის შესახებ

*„საინფორმაციოებს ვუყურებ სულ. ხო უნდა ვიცოდე რა ხდება? მეც უნდა დავგეგმო როგორ მოვიქცე“.*

*„ტელევიზორს რომ ვუყურებ შემდეგ უფრო თავისუფლად ველაპარაკები მეგობარს, რადგან ვიცი რა მოხდა. არ ჩამოვრჩები რამე რომ იყოს, რომ მეტყვიან იცი რა მოხდაო, მე მეცოდინება რა მოხდა . . . „*

*„ძალიან მიყვარს ფილმების ყურება. ვისვენებ ხოლმე... ვიძირები იმ სამყაროში. თან მაინტერესებს ხოლმე რა მოხდება. მომწონს გმირები და ა.შ.“.*

*„დებატებს ვუყურებ ხოლმე. ეს ჩხუბი მაღიზიანებს, მეც ვღიზიანდები ხოლმე და აქედან ვეჩხუბები“.*

*„პაიჭამეს ვუყურებ ხოლმე, ჩავარტყავდი ერთხელ. ძალიან მაღიზიანებს ლამისაა ტელევიზორი დავამტვრიო ხოლმე“.*

*„სავაში ძალიან მიყვარს. სულ ვუყურებ, დღესაა ბოლო სერია. იდეალური მამაკაცია, მინდა რომ ასეთები იყვნენ ჩემი ოჯახის წევრები და საერთოდ მამაკაცი“.*

*„სპორტს ვუყურებ. ფეხბურთს. ამის გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენელია“.*

რესპონდენტების უმრავლესობა ფაქტიურად ყოველდღიურად უყურებს საინფორმაციო გადაცემებს. ამგვარად, ისინი ცდილობენ, რომ იყვნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების საქმის კურსში და არ ჩამორჩნენ მოვლენებს.

ზოგიერთი რესპონდენტისთვის საინფორმაციო გადაცემების ყურება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან აკავშირებენ საკუთარ მომავალსა და პერსპექტივებს. მათ იმედი აქვთ, რომ საინფორმაციო გამოშვება მათთვის

ხელსაყრელ ინფორმაციას მიაწვდის ან იმის საშუალებას მაინც მისცემს, რომ საკუთარი ნაბიჯები დაგეგმოს.

რესპონდენტების უმრავლესობა პერიოდულად უყურებს პოლიტიკურ თოქ-შოუებსა და დებატებსაც. აქტიური და ემოციურად დატვირთული გადაცემები იწვევს რესპონდენტების აფექტურ ჩართულობას ყურების პროცესში. ისინი თავს გრძნობენ პროცესის თანამონაწილედ, ჩნდება ასოცირებულობის განცდა. ჩართულობა ასევე საფუძველს ქმნის ფსიქო-ფიზიკური დაძაბულობისაგან განთავისუფლებისათვის ტელევიზორის (ყურების პროცესში, გამოჩენილი ფიგურების მიმართ) მიმართ განწყობების გადამისამართებისა და გამოხატვის გზით.

მხატვრული ფილმებს, პერიოდულად, პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი უყურებს. მხატვრული ფილმების ყურება მათ საშუალებას აძლევს, რომ მოახდინონ საკუთარი შინაგანი სამყაროს პროეცირება და ირიბი გზით მოახდინონ საკუთარი სურვილების რეალიზაცია. რესპონდენტები თავადაც ცხოვრობენ ფილმების გმირების ცხოვრებით, გულშემატკივრობენ და სძულთ ისინი, არაცნობიერ დონეზე მყარდება კავშირი რესპონდენტთა რეალური ცხოვრების შემადგენელ ელემენტებსა და მათ შორის (ფილმის გმირებს).

რესპონდენტები ინტერესით უყურებენ ქართულ და თურქულ სერიალებს. ისინი ამბობენ, რომ ქართულ და თურქულ სერიალების შინაარსი უფრო „რეალური“ და ნაცნობია, ვიდრე სამხრეთ ამერიკულ სერიალებში.

რესპონდენტების უმრავლესობა აქტიურად ადევნებს თვალს ნანუკა ჟორჟოლიანისა და მაია ასათიანის გადაცემებს, რადგან ამ გზით იკმაყოფილებს ცნობილი ადამიანების პირადი ცხოვრების დეტალების შესახებ ინფორმაციის მიღების ინტერესს. რესპონდენტები თავს გრძნობენ იმ სამყაროს ნაწილად, რომელიც სხვა გზით მათთვის მიუწვდომელია. ასევე, ეს ინფორმაცია შემდეგ განიხილება ნაცნობ-მეგობრებთან, ხელს უწყობს კომუნიკაციას და შეადგენს მის შინაარსს.

მამაკაცი რესპონდენტებისათვის მნიშვნელოვანია სპორტული, განსაკუთრებით საფეხბურთო გადაცემების ყურების შესაძლებლობა. ისინი აღნიშნავენ, რომ ბოლო

პერიოდში ასეთი შესაძლებლობა ძალიან შეიზღუდა ქართულ სატელევიზიო სივრცეში, არ არსებობს სპორტული არხი, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ფოკუს ჯგუფებზე ნეგატიურად შეფასდა სამხრეთ ამერიკული სერიალები. რესპონდენტებისათვის უცხოა ამ სერიალებში მიმდინარე მოვლენები და მას ამორალურად მიიჩნევენ. თუმცა, გამომდინარე სამხრეთ ამერიკული სერიალების დისკრედიტირებულობისა, ორი ფოკუს ჯგუფის გარდა უფრო ფართო მასშტაბიანი კვლევის ჩატარებაა საჭირო ამ თემაზე უფრო სანდო ინფორმაციის მისაღებად - რესპონდენტებს შესაძლოა უბრალოდ ეთაკილებათ ამ თემაზე საუბარი.

რამოდენიმე რესპონდენტმა გამოთქვა სურვილი ყრუ-მუნჯებისთვის სპეციალიზირებული არხის შექმნის შესახებ.

## ზოგადი და სპეციალიზირებული არხების შესახებ

*„მე იმ საერთო არხებს ვუყურებ, რუსთავი, მაესტრო . . .“*

*„მე ვიცი რომელი გადაცემა, რომელ საათზე გადის და იმას ვუყურებ, რაში მაინტერესებს დანარჩენი. მთავარია ვიცოდე როდის გადის“.*

*„ფეხბურთის ჩვენება შემცირდა“.*

*„ჩვეულებრივ არხს ვუყურებ მე, აი ყველაფერი რომ გადის“.*

რესპონდენტების უმრავლესობა ძირითადად უყურებს საერთო არხებს. ისინი უფრო მეტად ორიენტირებას ახდენენ კონკრეტულ გადაცემებზე და შესაბამისად, ის სპეციალიზირებულ არხზე გავა, თუ ზოგადზე, არ არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი.

უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალიზირებულ არხად აღიქვამენ რესპონდენტები საპატრიარქოს სატელევიზიო არხს და მას ცალსახად პოზიტიურად აფასებენ. რესპონდენტების

უმრავლესობა პერიოდულად უყურებს საპატრიარქოს ტელევიზიას. შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ მაყურებელ რესპონდენტს საპატრიარქოს ტელევიზიის რომელიმე სპეციალური კომპონენტი მოსწონს და მას უყურებს ხოლმე სპეციალურად, მაგალითად, ლოცვებს, ქართულ ფილმებს ან მოზარდებთან დაკავშირებულ დისკუსიებს.

ორივე ჯგუფზე გაჟღერდა მოთხოვნა არასრულწლოვან მაყურებლებზე გამიზნულ სპეციალიზირებული არხის შექმნის შესახებ. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ ტელევიზიამ უნდა შეასრულოს საგანმანათლებლო და ორიენტირის ფუნქცია მომავალი თაობებისათვის.

ასევე, რესპონდენტების დაახლოებით ნახევარი ისურვებდა, რომ გამზადდეს დისქავერის მსგავსი ქართულენოვანი არხი ან ცალკეული გადაცემები მაინც იქნეს ნაჩვენები საერთო მაუწყებლების საშუალებით.

## რადიო მოსმენის ჩვეულებები და მნიშვნელობა

*„მანქანაში ვრთავ ხოლმე“.*

*„მარშუტკაში ვუსმენ ხოლმე. თავისთავად ჩართულია“.*

*„ტრანსპორტში ვუსმენ“.*

*„სიმღერებს ვუსმენ“.*

*„ახალი ამბებიც არის ხოლმე“.*

*„ღამით, როცა მეუღლეს სძინავს მობილურით ვუსმენ რადიოს“.*

რესპონდენტების უმრავლესობა რადიოს ძირითადად მხოლოდ მგზავრობისას უსმენს, მანქანაში, სამარშრუტო ტაქსში („მარშრუტკა“) ან ტაქსში.

სახლში ყოფნისას, მხოლოდ რამოდენიმე (3-4) რესპონდენტი თუ რთავს რადიოს სპეციალურად, მაგალითად, ლოცვის ან რომელიმე სპეციფიური გადაცემის მოსასმენად. ორი რესპონდენტი რადიოს რთავს მაშინ, როდესაც ტელევიზორს ვერ რთავს ოჯახური პირობების გამო („ქმარს სძინავს“, „ცოლი სერიალს უყურებს“).

რესპონდენტებს რადიოსთან დაკავშირებით საუბარი უჭირთ, მათ არა აქვთ შერჩეული რომელიმე საყვარელი რადიო, რადგან მოსმენისას არჩევანი ხშირად შემთხვევით კეთდება და თანაც ადგილი აქვს მუდმივ გადართვას არხიდან არხზე...

რადიოს საშუალებით რესპონდენტთა უმრავლესობა უსმენს სიმღერებს ან საინფორმაციო გამოშვებებს. რადიო ანაცვლებს ტელევიზორს, როდესაც მისი ყურების საშუალება არ არსებობს.

ერთმა რესპონდენტმა ისურვა, რომ რადიოს საშუალებით გადაიცეს გადაცემა, რომელიც სამართლებრივ კონსულტაციას გაუწევს რიგით მოქალაქეებს.